



განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი



მედიცინა

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2017 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია

დარგობრივი მახასიათებელი	დასახელება:	მედიცინა Medicine	
	სარეგისტრაციო ნომერი:		
	დამტკიცების თარიღი:		
	მოქმედების ვადა:	7 წელი ან საჭიროებისამებრ	
	დარგი/პროფესია:	<input checked="" type="checkbox"/> რეგულირებადი	<input type="checkbox"/> არ არის რეგულირებადი
	პროფესიის დასახელება:	ექიმი* Physician	ISCO-08-ის კოდი: 221
	სწავლის სფერო:	მედიცინა Medicine	ISCED-F-ის კოდი: 0912
	უმაღლესი განათლების საფეხური:	მაგისტრატურა (ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლება One-cycle undergraduate medical education)	მისანიჭებელი დიპლომირებული მედიკოსი კვალიფიკაცია: Medical Doctor

შენიშვნა* : პროფესიით მუშაობის დაწყება ხდება „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

დარგობრივი მახასიათებლის მიზანი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების პროგრამის (კურიკულუმის) შემუშავებას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას, პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, მობილობას და ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომელთა საფუძველზე კურსდამთავრებული შემდეგ უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელებას, საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზებას და კარიერულ წინსვლას.

დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები

- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. 2004;
- საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ. 2001;
- WORLD FEDERATION FOR MEDICAL EDUCATION. Basic Medical Education. WFME Global Standards for Quality Improvement. The 2015 Revision.
- CanMEDS 2015 Physician Competency Framework. 2015;
- Outcomes for graduates (Tomorrow’s Doctors), General Medical Council, 2015.
- Summary of the main changes in the Resuscitation Guidelines. ERC GUIDELINES 2015.
- International first aid and resuscitation guidelines 2016 for National Society first aid programme managers, scientific advisory groups, first aid instructors and first responders (www.ifrc.org), 2016;
- DIRECTIVE 2013/55/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 November 2013. amending Directive 2005/36/EC on the recognition of professional qualifications and Regulation (EU) No 1024/2012 on administrative cooperation through the Internal Market Information System (‘the IMI Regulation’), 2013;
- A TUNING Guide to Designing and Delivering an Outcomes-Based Undergraduate Medical Curriculum, 2013;

- Tomorrow's Doctors Outcomes and standards for undergraduate medical education, General Medical Council, 2009.
- Learning outcomes/Competences for undergraduate medical education in Europe (The Tuning Project (Medicine).MEDINE, 2008;
- Swiss Catalogue of Learning Objectives for Undergraduate Medical Training. Under a mandate of the Joint Commission of the Swiss Medical School, 2008;
- Learning Outcomes for the Medical Undergraduate in Scotland: A Foundation for Competent and Reflective Practitioners. 2007;
- WFME Global standards for quality improvement in medical education, European Specifications" (MEDINE, 2007);
- DIRECTIVE 2005/36/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 7 September 2005 on the recognition of professional qualifications, 2006;

დარგის აღწერა

სამედიცინო საქმე არის ჯანდაცვის სფეროს უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელიც შეეხება არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობას, არამედ მის სიცოცხლეს. მისი მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება-გაუმჯობესება. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საექიმო საქმიანობა არის: „მედიცინაში განსწავლული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის მიზანია ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე, საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება“ (მ. 5). სამედიცინოგანათლების, როგორც მომავალი წარმატებული საექიმო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობის, შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან აქტუალური პრობლემაა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. სამედიცინო საქმეში აუცილებელია არა მხოლოდ ბიოსამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებში თეორიული ცოდნის მიღება, არამედ კლინიკური უნარების გამომუშავება და ამ პროფესიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება. სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტების თანახმად, ბოლონის პროცესში მონაწილე ქვეყნებისთვის დიპლომამდელი საფეხურის კომპეტენციები უნდა განისაზღვროს თუნინგის პროექტით მოწოდებული კომპეტენციების საფუძველზე, ხოლო საბაზო (დიპლომამდელი) სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციები - საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი და წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე.

დასაქმების შესაძლებელი სფერო/სფეროები და სპეციალური მოთხოვნები

1. დასაქმების შესაძლო სფერო/სფეროები:

ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს (დიპლომირებულ ექიმს), მოქმედი კანონმდებლობითარა აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება, მას შეუძლია დასაქმდეს უმცროსეკიმად, რომელიც ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მ.5). საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს ა) გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მ.17), ბ) გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში, დაკავდეს პედაგოგიური და/ან სამეცნიერო საქმიანობით.

2. სპეციალური მოთხოვნები:

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 7) თანახმად, „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არ მქონე პირს, რომელმაც დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და ამ კანონით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი“.

II. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი განათლების საფეხური: **მაგისტრატურა**

1. ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და შესაძლო სტრუქტურა

ხანგრძლივობა	6 წელი	შესაძლო სტრუქტურა	<input checked="" type="checkbox"/>	სპეციალობა (მედიცინა)	min 330 ECTS	მათ შორის:	• სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები/სხვ.
	min 360 კრედიტი		<input checked="" type="checkbox"/>		ზოგადი ან/და თავისუფალი კომპონენტები		min 4 ECTS
			min 30 ECTS	მათ შორის:		• სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები	
			min 2 ECTS		• თითოეული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსი/მოდული		

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები - არ არსებობს.

2. დარგობრივი კომპეტენციები (დარგობრივი ცოდნა და უნარები)

№	კომპეტენცია		კომპეტენციის		
	ცოდნა-გააზრება	პრაქტიკული/სხვ. უნარები	მიღწევის სპეციფიკური მეთოდები	დემონსტრირების სპეციფიკური კრიტერიუმები	შეფასების სპეციფიკური მეთოდი
დარგობრივი ცოდნა					
1	ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, კლინიკური მეცნიერებები და დარგის ფუნდამენტური პრინციპები	<ul style="list-style-type: none"> • ბიოსამედიცინო მეცნიერებები • ქცევითი და სოციალური მეცნიერებები • კლინიკური მეცნიერებები • გერიატრიის საფუძვლები • წამლები და მათი დანიშვნა • საზოგადოებრივი ჯანდაცვა • სამედიცინო პრაქტიკის ეთიკური და ლეგალური პრინციპები • ექიმის როლი ჯანდაცვის სისტემაში 	ლექციები, სემინარები, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ჯგუფური მუშაობა, ტუტორიალები, კლინიკური როტაციები საუნივერსიტეტო/სასწავლო დაწესებულებებში: ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching), სემინარები, როლურითამაში, პაციენტებთან კომუნიკაცია.	<ul style="list-style-type: none"> • ბიოსამედიცინო მეცნიერებები: <ul style="list-style-type: none"> - ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ფუნქცია (ფიზიოლოგია); - ადამიანის ორგანიზმის ნორმალური სტრუქტურა (ანატომია); - ადამიანის ორგანიზმის ნორმალური მეტაბოლიზმი და ჰორმონული ფუნქცია (ბიოქიმია); - ადამიანის ნორმალური იმუნური ფუნქცია; - უჯრედის ნორმალური ბიოლოგია; - მოლეკულური ბიოლოგია (ნორმა); - ადამიანის ნორმალური განვითარება (ემბრიოლოგია). • ქცევითი და სოციალური მეცნიერებები: <ul style="list-style-type: none"> - ფსიქოლოგია; 	ზეპირი/წერილითი გამოცდა, ერთ- ან მრავალპასუხიანი ტესტები, პირდაპირი დაკვირვება (შეფასების ანგარიშით); სხვადასხვა წყაროდან მიღებული უკუკავშირი; ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) - სტანდარტიზებულ პაციენტთან, მინი-კლინიკური გამოცდა (MiniCeX). პორთფოლიო.

				<ul style="list-style-type: none"> - ადამიანის განვითარება (ბავშვი, მოზარდი, ზრდასრული, ხანდაზმული); - სოციოლოგია. • კლინიკური მეცნიერებები: <ul style="list-style-type: none"> - პათოლოგიური სტრუქტურა და დაავადებების მექანიზმი(პათოლოგია); - ინფექცია (მიკრობიოლოგია); - იმუნიტეტი და იმუნოლოგიური დაავადებები; - გენეტიკა და მემკვიდრული დაავადებები; - სხვადასხვა სამედიცინო სპეციალობასა და სუბსპეციალობაში კლინიკური მეცნიერებების შესახებ ცოდნა; კლინიკური წვდომა და კლინიკური მუშაობით მიღებული გამოცდილება სამედიცინო სერვისების შემდეგ სფეროებში: <ul style="list-style-type: none"> • მწვავე დაავადებების მქონე პაციენტების მკურნალობა შემთხვევის ადგილზე და გადაუდებელი მკურნალობის განყოფილებაში; • შინაგანი დაავადებების მკურნალობა მიმღებ განყოფილებაში; • ქირურგიული პაციენტების მკურნალობა მიმღებ განყოფილებაში; • მუშაობა პირველადი ჯანდაცვის რგოლში; • ხანდაზმულთა მკურნალობა; • ბავშვების მკურნალობა; • ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მკურნალობა, პალიატიური მკურნალობა; • ფსიქიატრიული პაციენტების მკურნალობა; • გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, ფიზიოლოგიური მშობიარობის მართვა; • ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში კრიტიკული მდგომარეობების მკურნალობა; • სხვადასხვა პროფილის დაავადებების მკურნალობა (კარდიოლოგია, ნეფრო- 	
--	--	--	--	--	--

				<p>ლოგია, პულმონოლოგიადასხვ.);</p> <ul style="list-style-type: none"> • ანესთეზიოლოგია; • რეაბილიტაციური მედიცინა; • სხვადასხვა პროფილის ქირურგიული მდგომარეობების მკურნალობა (მაგ: უროლოგია, ტრავმატოლოგია). <ul style="list-style-type: none"> • წამლები და მათი დანიშვნა: <ul style="list-style-type: none"> - ანტიბიოტიკების გამოყენება და ანტი-ბიოტიკებისადმი რეზისტენტობა; - წამლების გამოწერის პრინციპები; - წამლების გამოწერის თავისებურებები ხანდაზმულებში; - წამლების გვერდით ეფექტები; - წამლების ურთიერთქმედება; - სისხლის და სისხლის პროდუქტების ტრანსფუზია; - წამლების მოქმედება, ფარმაკოკინეტიკა; - ცალკეული წამლები. • საზოგადოებრივი ჯანდაცვა: <ul style="list-style-type: none"> - დაავადებების პრევენცია; - ცხოვრების წესი, დიეტა და კვება; - ჯანმრთელობის ხელშეწყობა; - დაავადებების სკრინინგი და დაავადებებზე ზედამხედველობა; - ხანდაზმულთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა; - გენდერული საკითხები ჯანდაცვაში; - ეპიდემიოლოგია; - კულტურალური და ეთიკური ფაქტორების ზეგავლენა ჯანდაცვაზე; - რესურსების განაწილება და ჯანმრთელობის ეკონომიკა; - გლობალური ჯანმრთელობა და უთანასწორობა. • ეთიკური და სამართლებრივი პრინციპები სამედიცინო პრაქტიკაში: <ul style="list-style-type: none"> - პაციენტთა უფლებები; - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები სამედიცინო მომსახურების სფეროში; - კოლეგებთან ურთიერთობის პრინციპები. 	
--	--	--	--	---	--

				<ul style="list-style-type: none"> ექიმის როლი ჯანდაცვის სისტემაში: <ul style="list-style-type: none"> - მედიცინასთან დაკავშირებული კანონმდებლობა; - პროფესიული რეგულაციის სისტემები; - კლინიკური აუდიტის პრინციპები; - ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გზები. 	
--	--	--	--	---	--

დარგობრივი უნარები

1.	<p>პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ანამნეზის შეკრება; • ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება; • კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება; • განმარტებების და რჩევების მიცემა; • პაციენტის მხარდაჭერა და მისი უფლებების დაცვა; • პაციენტის ფსიქოემოციური მდგომარეობის სტატუსის შეფასება. 	<p>თეორიული სწავლება (ინტერაქტიული სემინარები და ლექციები), კლინიკურ და სიმულაციურ გარემოში სწავლება, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), კლინიკური აზროვნება (CBCR), ექიმისა და პაციენტის როლების შესრულება, კლინიკურ გარემოში სწავლა, სამუშაო პრაქტიკა, პრაქტიკული დავალება ზედამხედველობის ქვეშ.</p>	<ul style="list-style-type: none"> • პაციენტზე ორიენტირებული ანამნეზის შეკრების უნარი, რომელიც ოპტიმალურია ბიოსამედიცინო და ფსიქოსოციალური ინფორმაციის მისაღებად; • პაციენტთან შეხვედრის სწორი სტრუქტურირება და მართვა; • დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოძიება სხვა წყაროებიდან, პაციენტის ოჯახის წევრების ჩათვლით (პაციენტის თანხმობით) და გაანალიზება; • ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გასინჯვის ჩატარება, შესაბამისი გამოკვლევების შერჩევა, კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია დიაგნოსტიკის, მართვის, დაავადების პროგნოზისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით; • პაციენტზე ორიენტირებული მოვლის გეგმის შედგენა, რომელიც ეფუძნება კვლევების შედეგებს, მკურნალობაზე პასუხსა და შემდგომ კონსულტაციებს; • ფიზიკური გარემოს ოპტიმიზაციის უნარი პაციენტის კომფორტის, ღირსების, პრივატულობის, ჩართულობისა და უსაფრთხოებისათვის; • ბიოსამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებში შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება; • განსაზღვრული დროის ფარგლებში პაციენტის მდგომარეობის შეფასება და ორგანიზებული სახით წარმოდგენილი რეკომენდაციების მიწოდება; • სამედიცინო პრაქტიკაში ხშირად არსებული კომპლექსური, ორაზროვანი სიტუაციების გაცნობიერება და მათზე რეაგირება; 	<p>პირდაპირი დაკვირვება (შეფასების ანგარიშით), OSCE/სტანდარტიზე-ბული პაციენტი, პორთფოლიო/Log-book, ზეპირი და ტესტური (მრავალალტერნატიული კითხვები, ერთპასუხიანი კითხვები) გამოცდები, სიმულაციები, 360°-იანი შეფასება.</p>
----	---	---	--	---	---

				<ul style="list-style-type: none"> • პაციენტის პრობლემების პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილების უნარი; • პაციენტზე ორიენტირებულ მართვის გეგმის შემუშავება; • პაციენტისთვის ყველაზე შესაბამისი პროცედურებისა და მკურნალობის განსაზღვრა; • პროცედურებისა და მკურნალობის პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრა, კლინიკური ურგენტულობისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით; • პროცედურის ტექნიკურად სრულყოფილად და უსაფრთხოდ შესრულება, მოულოდნელი სიტუაციებისა და კლინიკური გარემოებების ცვლილებასთან ადაპტირებით; • ურთიერთობა პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს პაციენტში ნდობის და ავტონომიურობის განცდას და ხასიათდება როგორც ემპათია, პატივისცემა და თანაგრძნობა; • ზედმიწევნით, დროულად და ნათლად ინფორმაციისა და ახსნა-განმარტებების გაზიარება; • პაციენტების და მათ ოჯახის წევრების დახმარება პაციენტის მდგომარეობის მართვასა და მოვლისათვის არსებული საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებაში; • კომუნიკაციური უნარები და სტრატეგიები, რაც ეხმარება პაციენტებსა და მათ ოჯახებს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებში; • იმ სიტუაციების გაცნობიერება, როცა ღირებულებებს, შეცდომებს ან პაციენტთა, ექიმთა და ჯანდაცვის სხვა მუშაკთა თვალსაზრისებს შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ პაციენტის მოვლის ხარისხზე; • მართვის მიზნების ჩამოყალიბება პაციენტებსა და მათ ოჯახის წევრებთან კოლაბორაციით, რაც შეიძლება მოიცავდეს დაავა- 	
--	--	--	--	---	--

				<p>დების პროგრესის შენელებას, სიმპტომურ მკურნალობას, განკურნებას, ფუნქციურ გაუმჯობესებასა და პალიაციას;</p> <ul style="list-style-type: none"> • უთანხმოებისა და ემოციურად დატვირთული საუბრის მართვა; • პაციენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების პაციენტის და მისი ოჯახის წევრებისთვის ზუსტად და შესაბამისად გაჟღერების გაცნობიერება; • ინდივიდუალურ პაციენტებთან ურთიერთობაში დაავადებათა პრევენციის, ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებათა ჩართვის უნარი; • პაციენტებთან ჯანმრთელობის იმ დეტერმინანტებზე ფოკუსირებით მუშაობა, რასაც გავლენა შეიძლება ჰქონდეთ მათზე და ჯანდაცვის საჭირო სერვისებსა და რესურსებზე მათი წვდომის უზრუნველყოფაზე; • პაციენტებსა და მათ ოჯახებთან მუშაობა ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდებლობის შესაძლებლობათა გაზრდის მიზნით; • შესაბამისი პროფესიული ქცევები და ურთიერთობები სამედიცინო პრაქტიკის ყველა ასპექტში, სამართლიანობა, ჰუმანურობა, ალტრუიზმი, განსხვავების და კონფიდენციალურობის შენარჩუნების მიმართ პატივისცემა; • ინტერესთა კონფლიქტის გაცნობიერება და მართვა; • თითოეული პაციენტის განსაკუთრებულ საჭიროებებთან, მოთხოვნებსა და მის კლინიკურ მდგომარეობასთან ადაპტაცია; • პაციენტებსა და მისი ოჯახის წევრებთან კრიტიკის გარეშე დისკუსიის ხელშეწყობა, პატივისცემით და უსაფრთხო გზით. 	
2.	<p>კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგ-</p>	<ul style="list-style-type: none"> • დაავადების კლინიკური მანიფესტაციის სირთულის გაცნობიერება და შეფასება; • შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია; • დიფერენციული 	<p>ლექციები, სემინარები, მათ შორის პაციენტის შემთხვევასა და/ან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL, CBL), კლინიკური აზროვნება (CBCR), ექიმი-პაციენტი-როლების შესრულება,</p>	<ul style="list-style-type: none"> • აცნობიერებს და პასუხობს სამედიცინო პრაქტიკაში ხშირად არსებულ კომპლექსურ, ორაზროვან სიტუაციებს; • აცნობიერებს საკუთარი ექსპერტიზის ფარგლებს და შეუძლია პაციენტის ოპტიმალური მოვლისთვის სხვა პროფესიონალის ჩართვის საჭიროების დემონსტრირება 	<p>ზეპირი და ტესტური (მრავალალტერნატიული კითხვები, ერთპასუხიანი კითხვები, ტესტი) გამოცდები, პირდაპირი დაკვირვება (შეფასების ანგარიშით).</p>

	<p>მის შესახებ მსჯელობა</p>	<p>დიაგნოზის გატარება;</p> <ul style="list-style-type: none"> • პაციენტებთან და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვა; • ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე ზრუნვა; • ქრონიკული დაავადების მართვა. 	<p>კლინიკურ გარემოში სწავლება, სამუშაო პრაქტიკა.</p>	<p>ეფექტური, შესაბამისი და დროული კონსულტაციისთვის;</p> <ul style="list-style-type: none"> • არჩევს სამედიცინო თვალსაზრისით შესაბამის კვლევის მეთოდებს რესურსეფექტური და ეთიკური გზით; • პაციენტის პრობლემაზე საპასუხოდ ახდენს კლინიკური პრობლემის ეფექტური გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღების უნარის დემონსტრირებას; მათ შორის არსებულ მონაცემთა ინტერპრეტაციითა და ინფორმაციის ინტეგრირებით ატარებს დიფერენციულ დიაგნოსტიკას, შეიმუშავებს დაავადების მართვის გეგმას; • დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროცედურებისთვის იღებს ინფორმირებულ თანხმობას დადგენილი წესის დაცვით; • პაციენტსა და ოჯახის წევრებთან კოლაბორაციით შეიმუშავებს მისი მართვის გეგმას; • განსაზღვრავს პაციენტის მოვლისთვის სხვა ექიმთან ან პროფესიონალთან ტრანსფერის (გადაყვანის) საჭიროებას; • აცნობიერებს ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის ოჯახზე ზრუნვის აუცილებლობას; იცის რა შეიძლება შესთავაზოს პალიატიურმა მოვლამ, ვის მიერ შეიძლება იყოს მიწოდებული და ვისთვის; • ადემონსტრირებს ცოდნას, როგორ შეიძლება ჩართოს პაციენტი, ოჯახი და სხვა ჯანდაცვის პროფესიონალები პაციენტის პალიატიურ მოვლაში; • ქრონიკული დაავადების მართვისას ითვალისწინებს პაციენტის ასაკს, ქრონიკული დაავადების ბუნებას, ფსიქოლოგიურ გაფლენას, წამლების შესაბამისად გამოყენების შესაძლებლობას. 	<p>OSCE/სტანდარტული პაციენტი, პორტფოლიო/ Log-book.</p>
3.	<p>გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და</p>	<ul style="list-style-type: none"> • გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება (DRSABCDE); • ბაზისური პირველადი დახმარების გაწევის ასაკობრივი თავისებურებანი 	<p>სასწავლო ვიდეოფილმები, სწავლება სიმულატორების გამოყენებით, გუნდური მუშაობა სარეანიმაციო მანეკენთან, ავადმყოფის საწოლთან სწავლება</p>	<ul style="list-style-type: none"> • კლინიკური ნიშნების შეფასება, გადაუდებელი დახმარების დაწყება DRSABCDE პრინციპით; • პირველადი გადაუდებელი დახმარება; • ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი დახმარება; 	<p>ერთ- ან მრავალპასუხიანი ტესტები, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), მინი-კლინიკური გამოცდა (MiniCEX),</p>

	<p>სარეანიმაციო ღონისძიებები</p>	<p>ახალშობილებში, ბავშვებში და ხანდაზმულებში;</p> <ul style="list-style-type: none"> • გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება; • გაიდლაინების შესაბამისი გაფართოებული სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარება; • ტრავმების დროს გადაუდებელი დახმარება გაიდლაინების შესაბამისად. 	<p>(bedside-teaching) კლინიკური როტაციები კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლების სიმულაციურ ცენტრში.</p>	<ul style="list-style-type: none"> • კარდიოპულმონალური რეანიმაციის ჩატარება ან ჯგუფური მუშაობის პრინციპით სარეანიმაციო ღონისძიებების წარმოება; • პირველადი გადაუდებელი დახმარება და ტრავმის დროს. 	<p>პორტფოლიო.</p>
<p>4.</p>	<p>მედიკამენტების გამოწერა</p>	<ul style="list-style-type: none"> • მედიკამენტების გასაგებად და სწორად გამოწერა, ასაკობრივი ასპექტების გათვალისწინებით; • შესაბამისი წამლების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება; • მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობის განხილვა და პაციენტისთვის პოტენციური სარგებელისა და რისკის შეფასება; • ტკივილისა და დისტრესის მკურნალობა; • მედიკამენტების თავსებადობის გათვალისწინება მკურნალობის დანიშვნისას. 	<p>ლექციები, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლება, კლინიკური აზროვნება (CBCR), ტუტორიალები, სემინარები, როლური თამაში, პაციენტებთან კომუნიკაცია, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching) კლინიკური როტაციები.</p>	<ul style="list-style-type: none"> • წამლების თაობაზე დეტალური ისტორიის შეგროვება. რომელიც მოიცავს როგორც დანიშნულ, ასევე სხვა წამლებს; • წამლებით მკურნალობის გეგმის შედგენა ხშირი ჩვენებებისთვის, მათ შორის ტკივილისა და დისტრესისთვის; • წამლების დადგენილი წესის შესაბამისად გამოწერა; • წამლის საჭირო დოზის დაანგარიშება, შეყვანის გზების განსაზღვრა და შედეგების მონიტორინგის პაციენტის ასაკის გათვალისწინებით; • პაციენტისთვის დანიშნული წამლების თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. წამლების თაობაზე სარწმუნო ინფორმაციის მოძიება; • წამლების ურთიერთქმედების ცოდნა, წამლების არასასურველი ეფექტების დადგენა და აღრიცხვა; • სისხლისა და სისხლის პროდუქტების ტრანსფუზია; • დამხმარე და ალტერნატიული სამკურნალო საშუალებების შესახებ ინფორმაციის და სხვა ტიპის მკურნალობაზე ამ მეთოდების შესაძლო ზემოქმედების თაობაზე ცოდნის დემონსტრირება. 	<p>ზეპირი გამოცდა, ერთ-ან მრავალაპასუხიანი ტესტები, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), მინი-კლინიკური გამოცდა (MiniCEX).</p>

5.	პრაქტიკული პროცედურების ჩატარება	<ul style="list-style-type: none"> • სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა: პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა; • წნევის გაზომვა; • სატურაციის განსაზღვრა; • ხელების დაბანა და ხელთათმანის ჩაცმა; • პერიფერიული ვენის ვენეპუნქცია; • პერიფერიულ ვენაში კათეტერის ჩადგმა; • სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება; • ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში; • ჟანგბადის მიწოდება; • პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა; • ნაკერის დადება; • ჭრილობის დამუშავება და ნახვევის დადება; • შარდის ბუშტის კათეტერიზაცია; • შარდის ანალიზის გაკეთება; • ელექტროკარდიოგრამის გადაღება; • ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია; • სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტები სჩატარება; • საინჰალაციო მედიკამენტების გამოყენება. 	სწავლება სიმულატორების გამოყენებით, სცენარებზე დაფუძნებული სიმულაციური სწავლება, პაციენტებთან (ამბულატორიულ და ჰოსპიტალიზებულ პაციენტებთან) პრაქტიკა, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching) კლინიკური როტაციები კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლების სიმულაციურ ცენტრში ან შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო გარემოში.	<p>სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა: პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა (დამოუკიდებლად); წნევის გაზომვა (დამოუკიდებლად);</p> <ul style="list-style-type: none"> • სატურაციის განსაზღვრა; • ხელების დაბანა და ხელთათმანის ჩაცმა; • პერიფერიული ვენეპუნქცია (სიმულატორზე); • პერიფერიულ ვენაში კათეტერის ჩადგმა (სიმულატორზე); • სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება (სიმულატორზე ან ზედამხედველობით); • ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში (სიმულატორზე ან ზედამხედველობით); • ჟანგბადის მიწოდება (დამოუკიდებლად); • პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა (დამოუკიდებლად); • ნაკერის დადება (სიმულატორზე); • ჭრილობის დამუშავება და ნახვევის დადება; • შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (სიმულატორზე); • შარდის ანალიზის გაკეთება (სკრინინგ-ტესტები—Dipstick); • ელექტროკარდიოგრამის გადაღება (დამოუკიდებლად); • ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია (დამოუკიდებლად); • სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება (დამოუკიდებლად); • საინჰალაციო მედიკამენტების გამოყენება 	ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), მინი-კლინიკური გამოცდა (MiniCEX), პორტფოლიო. პრაქტიკული პროცედურის შესრულება შეფასდება- თითოეული პროცედურის ჩატარების საფეხურებად გაწერილი თანმიმდევრული ჩამონათვალის ქულობრივი რანჟირებით (ე.წ. CheckList).
6.	სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია	<ul style="list-style-type: none"> • პაციენტთან კომუნიკაცია; • კოლეგებთან კომუნიკაცია; • კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას; • ნათესავებთან კომუნიკაცია; • უნარშეზღუდულ პირებთან კომუნიკაცია; 	კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლება, სასწავლო ვიდეო-ფილმები, როლური თამაში, სწავლება სტანდარტიზებული პაციენტების მეშვეობით, პაციენტებთან	<ul style="list-style-type: none"> • კომუნიკაცია პაციენტზე ორიენტირებული მიდგომით, რაც ხელს უწყობს პაციენტის რწმენისა და დამოუკიდებლობის გრძობის გაღრმავებას და ეფუძნება თანაგრძობასა და პატივისცემას; • პაციენტის კომფორტის, დამოუკიდებლობის, ჩართულობის და უსაფრთხოების უზ- 	ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) - სტანდარტიზებულ პაციენტებთან, მინი-კლინიკური გამოცდა (MiniCEX), პორტფოლიო.

		<ul style="list-style-type: none"> • კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად; • წერილობითი კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით); • კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაცია; • კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით; • კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებსა და მასმედიასთან; • ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა. 	<p>(ამბულატორიულ და სტაციონარულ პაციენტებთან) კომუნიკაცია, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching) კლინიკური როტაციები.</p>	<p>რუნველყოფის მიზნით ფიზიკური გარემოს ოპტიმიზაცია;</p> <ul style="list-style-type: none"> • პაციენტის, ექიმის ან ჯანდაცვის სხვა მუშაკის შეფასებების, მიკერძოებულობის, შეხედულებების ამოცნობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მკურნალობის ხარისხზე და შეცვალოს პაციენტისადმი მიდგომა; • კომუნიკაციის გაუმჯობესება პაციენტის არავერბალურ ქცევაზე რეაგირების გზით; • უთანხმოებისა და ემოციური საუბრის მართვა. • პაციენტის უნიკალური საჭიროებების, კლინიკური მდგომარეობისა და გარემოებებისადმი ადაპტაცია; • პაციენტზე ორიენტირებული გამოკითხვის გზით შესაბამისი ბიოსამედიცინო და ფსიქოსოციალური ინფორმაციის შეგროვება; • პაციენტთან კონტაქტის პროცესის სტრუქტურირება და მართვა; • პაციენტის თანხმობით საჭირო ინფორმაციის მოძიება და შეჯერება სხვა წყაროებიდან, მათ შორის ოჯახის წევრებიდან; • პაციენტისა და ოჯახის წევრებისთვის ნათლად ჩამოყალიბებული, ზუსტი და დროული ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდება მდგომარეობაში უკეთ გარკვევის მიზნით; • პაციენტის უსაფრთხოებისთვის საზიანო შემთხვევების ზუსტად და მართებულად შეტყობინება პაციენტისა და ოჯახის წევრებისათვის; • პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან საუბარი პატივისცემით, განკითხვის გარეშე და კულტურული გარემოებების გათვალისწინებით; • მკურნალობის ხელშეწყობისა და ჯანმრთელობის უკეთ მართვის მიზნით პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისთვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების იდენტიფიცირებაში, ხელმისაწვდომობასა და გამოყენებაში დახმარების გაწევა; • კომუნიკაციის მეთოდებისა და სტრატეგი- 	
--	--	--	---	---	--

				<p>ის გამოყენება, რაც დაეხმარება პაციენტსა და ოჯახის წევრებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში;</p> <ul style="list-style-type: none"> • სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, რაც შესრულდება სიზუსტით, სრულად, დროულად, ხელმისაწვდომი ფრომით, რეგულაციებისა და სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად; • ეფექტური კომუნიკაცია წერლობითი ჩანაწერის, ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერის ან სხვა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით; • პაციენტთან და აგრეთვე სხვა პირებთან ინფორმაციის გაზიარება პაციენტის პირადი ცხოვრებისა და კონფიდენციალურობის გათვალისწინებით. 	
7.	სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალობის დაცვა; • მკურნალობის დროს ეთიკის პრინციპების და ანალიზის უნარის გამოყენება; • ინფორმირებული თანხმობის მიღება და სათანადო ჩანაწერის გაკეთება; • სიკვდილის ცნობის გაცემა; • აუტოფსიის მოთხოვნა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში); • მკურნალობისას საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის გამოყენება; • სამედიცინო საქმიანობის წარმართვა მულტიკულტურულ საზოგადოებაში. 	<p>ლექცია, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლება, კლინიკური აზროვნება (CBCR), ტუტორიალები, სემინარები, როლური თამაში, პაციენტებთან (ამბულატორიულ და სტაციონარულ პაციენტებთან), კომუნიკაცია ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching) კლინიკური როტაციები.</p>	<ul style="list-style-type: none"> • აცნობიერებს ექიმის უზენაეს მოვალეობას იზრუნოს თითოეული პაციენტის და საზოგადოების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ეთიკური პრინციპების დაცვით საქართველოს კანონმდებლობების შესაბამისად; • ეთიკური პრინციპების და თეორიების ცოდნა, ეთიკური დილემის ამოცნობა ანალიზი, გადაჭრის გზების ძიება; • პაციენტის ღირსების და უფლებების, მათ შორის სამედიცინო დახმარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლების პატივისცემა. სამედიცინო მომსახურების გაწევისას ინფორმირებულ თანხმობის მნიშვნელობის ცოდნის დემონსტრირება; • პაციენტისაგან ვალიდური ინფორმირებული თანხმობის აღება, კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო ჩანაწერის გაკეთება; • პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების დემონსტრირება. 	<p>ზეპირი ან წერილი გამოცდა (კლინიკური შემთხვევის ანალიზი), ერთ-ან მრავალპასუხიანი ტესტები, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), მინი-კლინიკური გამოცდა.</p>
8.	პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული	<ul style="list-style-type: none"> • დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების 	<p>კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლება</p>	<ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა წყაროდან (მათ შორის, პაციენტის ოჯახის წევრებისგან) რელევანტური 	<p>ერთ-ან მრავალპასუხიანი ტესტები, ობიექტური</p>

	<p>რებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება</p>	<p>დების ფსიქოლოგიური ფაქტორების შეფასება;</p> <ul style="list-style-type: none"> დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების სოციალური ფაქტორების შეფასება; დაავადებასთან დაკავშირებული სტრესის დადგენა; ალკოჰოლზე და წამალზე დამოკიდებულების დადგენა 	<p>ლება, კლინიკური აზროვნება (CBCR), სასწავლო ვიდეოფილმები, სემინარები, სწავლება სტანდარტიზებულ პაციენტების მეშვეობით, პაციენტებთან (ამბულატორიულ და სტაციონარულ პაციენტებთან) კომუნიკაცია, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching) კლინიკური როტაციები.</p>	<p>ინფორმაციის მოძიება და შეჯერება თითოეული პაციენტის საჭიროებებისა და მისი კლინიკური მდგომარეობის გასათვალისწინებლად;</p> <ul style="list-style-type: none"> პაციენტის ანამნეზის შეკრების უნარ-ჩვევების დემონსტრირება რელევანტური ბიოსამედიცინო და ფსიქოსოციალური ინფორმაციის ეფექტურად შესაგროვებლად; პაციენტის არავერბალური ქცევის ასპექტების გათვალისწინება დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოსოციალური ფაქტორების დასადგენად; პაციენტის (შეწინააღმდეგების შემთხვევაში) მდგომარეობის მართვა მკაფიო, სტრუქტურირებული გეგმის შესაბამისად; პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან საუბრის წარმართვა პატივისცემით, კრიტიკის გარეშე და კულტურული თავისებურებების (უსაფრთხოების) გათვალისწინებით. 	<p>რად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) - სტანდარტიზებულ პაციენტთან, მინი-კლინიკური გამოცდა (MiniCeX).</p>
9.	<p>მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება</p>	<ul style="list-style-type: none"> მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში; შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება; გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. 	<p>პრობლემაზე დაფუძნებული (PBL), კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლება, კლინიკური აზროვნება (CBCR), პაციენტებთან (ამბულატორიულ და სტაციონარულ პაციენტებთან), კომუნიკაცია ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching) კლინიკური როტაციები.</p>	<ul style="list-style-type: none"> საკუთარ ცოდნასა და საექიმო პრაქტიკაში არსებული ხარვეზების ამოცნობა და ცოდნის დეფიციტის შევსება; მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში გადაწყვეტილების მიღებისას; ჯანდაცვის სფეროსთან დაკავშირებული ლიტერატურის კეთილსინდისიერების, სანდობისა და პრაქტიკაში გამოყენების კრიტიკული შეფასება; სამეცნიერო/კლინიკური პრობლემის განსაზღვრა, საკითხის ირგვლივ რელევანტური კითხვების დასმა, პასუხის ეფექტურად მოძიება სამეცნიერო ლიტერატურაში, ინფორმაციის სათანადო წყაროების გამოყენებით. შესაბამისი მეთოდის შერჩევა მათ გადასაჭრელად; ლიტერატურის სხვადასხვა წყაროდან მტკიცებულებათა აქტიურად გამოყენება და მტკიცებულების ხარისხის შეფასების საფუძველზე პაციენტის მდგომარეობისათვის შესაბამისი დასკვნის გამოტანა; კლინიკური გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებულ მტკიცებულებების განხილვა 	<p>ზეპირი გამოცდა, ერთ-ან მრავალპასუხიანი ტესტები, სამეცნიერო პრეზენტაციები, მინი-კლინიკური გამოცდა, პორტფოლიო.</p>

				<p>კოლეგებთან და ჯანდაცვის სხვა სპეციალისტებთან;</p> <ul style="list-style-type: none"> • კვლევის სამეცნიერო პრინციპების ღირებულების გააზრება და ჯანდაცვის სფეროში კვლევითი მტკიცებულებების მნიშვნელობის დემონსტრირება; • კვლევის ეთიკური პრინციპების იდენტიფიკაცია და მათი ჩართვა ინფორმირებული თანხმობის მისაღებად, მოსალოდნელი ზიანისა და სარგებლიანობის გათვალისწინებით, ასევე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათვალისწინებით; • პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან (მათ შორის პაციენტებსა და მათი ოჯახის წევრებთან) შესაბამისი კვლევის შედეგების შეჯამება და მოხსენება; • კვლევითი პროგრამის მუშაობის ხელშეწყობა. 	
10.	<p>სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება</p>	<ul style="list-style-type: none"> • კლინიკური ჩანაწერების სწორად წარმოება და სრულად შენახვა; • პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; • სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიება; • ინფორმაციის შენახვა და შემდეგ მისი გამოყენება; • პირადი ჩანაწერების შენახვის უნარი (პორტფოლიო). 	<p>სამედიცინო დაწესებულებებში (ამბულატორიულ და სტაციონარულ პაციენტებთან) პრაქტიკა, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება (მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით), ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching), კლინიკური როტაციები.</p>	<ul style="list-style-type: none"> • სრულად, ნათლად და გასაგებად შესრულებული სამედიცინო ჩანაწერების წარმოება და შენახვა; • კომპიუტერისა და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიის ეფექტური გამოყენება ინფორმაციის შესანახად და მოსაძიებლად; • კონფიდენციალობის, მონაცემების დაცვის წესებისა და პრაქტიკული საქმიანობის კლასიფიკატორების გამოყენება ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობისას; • საინფორმაციო წყაროების ხელმისაწვდომობა და მოძიებული ინფორმაციის გამოყენება პაციენტზე ზრუნვის, ჯანმრთელობის ხელშეწყობის, პაციენტისთვის რჩევისა და ინფორმაციის მიწოდებისას, ისევე როგორც კვლევისა და განათლების სფეროში; • სამედიცინო პრაქტიკის პროცესში სამედიცინო ინფორმაციის პრინციპების, მეთოდების და ცოდნის გამოყენება. 	<p>ერთ-ან მრავლაპასუხიანი ტესტები, პორტფოლიო.</p>
11.	<p>სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების</p>	<ul style="list-style-type: none"> • სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნა; • კვლევის დიზაინის, დეტა- 	<p>პრობლემაზე დაფუძნებული (PBL), კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლება, კლინიკური</p>	<ul style="list-style-type: none"> • კვლევის სამეცნიერო პრინციპების გაცნობიერება და კვლევის შედეგად მიღებული მტკიცებულებების მნიშვნელობა ჯანდაცვისთვის; 	<p>ერთ-ან მრავლაპასუხიანი ტესტები, სამეცნიერო პრეზენტაციები, მინი-კლინიკური გამოცდა,</p>

	<p>ციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება</p>	<p>ლური დაგეგმვის, მიღებული შედეგების დამუშავებისა და დასკვნების გაკეთების უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკულ საქმიანობაში ბიომედიცინის მეცნიერებების მიღწევათა გამოყენების უნარი; • ბიომედიცინაში სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე რეფერატის/მიმოხილვის დაწერის უნარი; • სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპების ცოდნა. 	<p>აზროვნება (CBCR), ტუტორიალები, სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა, სამეცნიერო უნარ-ჩვევების სწავლება, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching), კლინიკური როტაციები.</p>	<ul style="list-style-type: none"> • კვლევის ეთიკური პრინციპების იდენტიფიცირება და მათი გამოყენება ინფორმირებული თანხმობის მიღებისას. კვლევისას პოტენციური ზიანისა და სარგებელის გათვალისწინება და მოწყვლადი პოპულაციის დადგენა; • კვლევითი პროგრამების მუშაობისთვის ხელშეწყობა; • სამეცნიერო კვლევისთვის კითხვის სწორად დასმა და შესაბამისი კვლევის მეთოდების შერჩევა; • კვლევისა და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის შედეგების შეჯამება და წარმოდგენა პროფესიულ და სხვა საზოგადოებასთან, მაგალითად, პაციენტებთან და მათი ოჯახის წევრებთან. 	<p>*სამეცნიერო ნაშრომი/რეფერატი, პორთფოლიო.</p>
12.	<p>ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • მკურნალობის ჩატარება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს პაციენტისთვის ზიანის მიყენების რისკი; • ინფექციის გავრცელების ალკვეთის ღონისძიებების გატარება; • საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებით საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება; • ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე. 	<p>ლექცია, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლება, სემინარები, პაციენტებთან (ამბულატორიულ და სტაციონარულ პაციენტებთან) პრაქტიკა, კლინიკური როტაციები.</p>	<ul style="list-style-type: none"> • პაციენტის უსაფრთხოების კულტურის ხელშეწყობა; • პაციენტის უსაფრთხოების შემთხვევების ანალიზი მომსახურების სისტემის გასაუმჯობესებლად; • სამედიცინო ინფორმატიკის გამოყენება პაციენტის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების ოპტიმიზაციისათვის; • ჯანდაცვის რესურსების განაწილება პაციენტებზე ოპტიმალური ზრუნვისათვის; • მტკიცებულებათა და მენეჯმენტის პროცესების გამოყენება ხარჯთეფექტური სამედიცინო მომსახურების მისაღწევად; • ლიდერობის უნარის დემონსტრირება ჯანდაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად; • ჯანდაცვის სფეროში ცვლილების ხელშეწყობა მომსახურების გაღრმავებისა და შედეგების გასაუმჯობესებლად; • პრიორიტეტების განსაზღვრა და დროის მართვა პრაქტიკისა და პირადი ცხოვრების ინტეგრაციისათვის; • კარიერისა და პრაქტიკის მართვა; • პროცესების დანერგვა პერსონალური პრაქტიკის გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის; 	<p>ზეპირი/წერილითი გამოცდა, ერთ-ან მრავლაპასუხიანი ტესტები, სამეცნიერო პრეზენტაციები, პორთფოლიო.</p>

				<ul style="list-style-type: none"> • პაციენტებთან მუშაობა ჯანმრთელობის დეტერმინანტებთან მიმართებაში, რომლებიც ზემოქმედებენ მათზე და მათთვის საჭირო სამედიცინო მომსახურებისა და რესურსების ხელმისაწვდომობაზე პაციენტებთან და მათ ოჯახებთან მუშაობა ჯანსაღი ქცევის დანერგვის შესაძლებლობის გაზრდისათვის; • დაავადებების პრევენციის, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებების ზედამხედველობის დანერგვა ინდივიდუალურ პაციენტთან ინტერაქციის პროცესში; • თემთან ან მოსახლეობასთან მუშაობა მათზე მოქმედი ჯანმრთელობის დეტერმინანტების იდენტიფიცირებისათვის; • ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტი პროცესის გამოყენება დაავადებების პრევენციის, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებების ზედამხედველობასთან მიმართებაში კლინიკური პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით; • თემის, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების პროცესში წვლილის შეტანა. 	
13.	პროფესიონალიზმი	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიონალიზმის ზოგადი მახასიათებლები: <ul style="list-style-type: none"> - მიუკერძოებლობა, პატიოსნება, ეთიკის პრინციპების დაცვა; - ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების გაწევის და პროფესიული სრულყოფისთვის მზაობა; - კრიტიკული და თვითკრიტიკული დამოკიდებულება; - ემპათია (თანაგრძნობა); - კრეატიულობა; - ინიციატიურობა, წარმატებულობის სურვილი; - ინტერპერსონალური უნარები. 	თეორიული და პრაქტიკული სწავლება - პრობლემაზე დაფუძნებული (PBL), კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლება, კლინიკური აზროვნება (CBCR), ტუტორიალები, სასწავლო ვიდეოფილმები, სემინარები, პაციენტებთან (ამბულატორიულ და სტაციონარულ პაციენტებთან) პრაქტიკა, კლინიკური როტაციები საუნივერსიტეტო/სასწავლო კლინიკებში.	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიონალიზმის ზოგადი მახასიათებლები: <ul style="list-style-type: none"> - პრაქტიკის ყველა ასპექტში შესაბამისი პროფესიული ქცევები და ურთიერთობები, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, თავმდაბლობა, პასუხისმგებლიანობა, თანაგრძნობა, პატივისცემა, ალტრუიზმი, განსხვავებულობის პატივისცემა და კონფიდენციალობის დაცვა; - პასუხისმგებლიანობა მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდების და კომპეტენციის შენარჩუნების მიმართ; - პრაქტიკული შემთხვევის ეთიკური საკითხების გაცნობიერება და განხილვა; - ინტერესთა კონფლიქტის გაცნობიერება და მართვა; - პროფესიული ქცევა კომუნიკაციური ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებისას; 	ზეპირი გამოცდა, ერთ-ან მრავლაპასუხიანი ტესტები, სამეცნიერო პრეზენტაციები, პორტფოლიო

		<ul style="list-style-type: none"> • პროფესიონალიზმი მუშაობაში: <ul style="list-style-type: none"> - საკუთარი შესაძლებლობების ზღვარის გააზრება და დახმარების თხოვნა; - გაურკვეველ სიტუაციებიდან გამოსავლის ნახვა და ახალ სიტუაციასთან ადაპტაცია; - ლიდერობის უნარი; - საჭიროებისას დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; - პრობლემების გადაჭრის უნარი; - გადაწყვეტილებების მიღების უნარი; - მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი; - სხვა სფეროების ექსპერტებთან კომუნიკაციის უნარი; - ორგანიზაციული და დაგეგმვის (დროის მართვის ჩათვლით) უნარი. • ექიმი როგორც ექსპერტი: <ul style="list-style-type: none"> - ანალიზისა და სინთეზის უნარი; - სწავლის (მათ შორის პროფესიული ცხოვრების მანძილზე) უნარი; - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; - სხვისი სწავლების უნარი; - სამეცნიერო კვლევის უნარი. • ექიმი გლობალურ კონტექსტში: <ul style="list-style-type: none"> - აცნობიერებს მრავალფეროვნებას და მულტიკულტურულ საზოგადოებაში მუშაობას; 		<ul style="list-style-type: none"> - სხვადასხვა შიდა და გარე მონაცემთა წყაროების გამოყენებით საკუთარი ქმედებების რეგულარული განსჯა და შეფასება სწავლებისა და ცოდნის სრულყოფის შესაძლებლობათა გამოსავლენად; - ურთიერთობს პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს პაციენტში ნდობის და ავტონომიურობის განცდას და ხასიათდება როგორც ემპათია, პატივისცემა და თანაგრძნობა; - ფლობს ფიზიკური გარემოს ოპტიმიზაციის უნარს პაციენტის კომფორტის, ღირსების, პრივატულობის, ჩართულობისა და უსაფრთხოებისათვის; - აცნობიერებს სიტუაციებს, როცა ღირებულებებს, შეცდომებს ან პაციენტთა, ექიმთა და ჯანდაცვის სხვა მუშაკთა თვალსაზრისს შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ პაციენტის მოვლის ხარისხზე და შესაბამისად ცვლის პაციენტთან მიდგომას; - ცოდნის, ტექნოლოგიების და მეთოდოლოგიების ინოვაციური გამოყენება; - თვითდაჯერებულობა, ინიციატივა და პრაგმატიზმი; - მოკლე და გრძელვადიანი კარიერული და პერსონალური გეგმები, მიზანსწრაფვა და მუშაობა დასახული მიმართულებით რეალისტური განვითარების გეგმითა და შესაბამისი აქტივობებით; - ექიმებსა და სხვა კოლეგებთან პოზიტიური ურთიერთობები პაციენტის კოლაბორაციული მართვის ხელშეწყობისთვის; - მონაწილეობა პროფესიულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პროფესიული და სხვა სამუშაო ჩარჩოთა გამოყენებით; - ექიმებსა და სხვა კოლეგებთან პოზიტიური ურთიერთობები პაციენტის კოლაბორაციული მართვის ხელშეწყობისთვის; - გადამფარავი და საერთო მოვალეობების შეთანხმება ექიმებსა და ჯანდაცვის სისტემის სხვა კოლეგებთან პაციენტის ეპი- 	
--	--	---	--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> - პატივის სცემს სხვა ქვეყნების კულტურულ თავისებურებებს; - მუშაობს საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით; - ფლობს მეორე ენას; - გააჩნია ცოდნა მედიცინის სფეროს გარდა. 		<p>ზოდურ და მიმდინარე მართვაში;</p> <ul style="list-style-type: none"> - ექიმებსა და სხვა კოლეგებთან ერთად საერთო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა; - თანამშრომლების მიმართ პატივისცემა; - ურთიერთგაგების, განსხვავებათა მართვის და კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები კოლაბორაციული კულტურის ხელშეწყობისათვის; - პაციენტის სხვა სპეციალისტთან, სხვა გარემოსა და მართვის სხვა საფეხურზე უსაფრთხო გადაბარებისთვის ვერბალური და წერილობითი კომუნიკაცია. • პროფესიონალიზმი მუშაობაში: <ul style="list-style-type: none"> - გადამფარავი და საერთო მოვალეობების შეთანხმება ექიმებსა და ჯანდაცვის სისტემის სხვა კოლეგებთან პაციენტის ეპიზოდურ და მიმდინარე მართვაში; - განსაზღვრავს, როდის უნდა გადავიდეს პაციენტის მართვა სხვა ექიმს ან სხვა სპეციალისტთან; - აცნობიერებს საკუთარი ექსპერტიზის ფარგლებს და ადემონსტრირებს პაციენტის ოპტიმალური მოვლისთვის სხვა პროფესიონალის ჩართვის საჭიროებას; ეფექტური, შესაბამისი და დროული კონსულტაციისთვის; - განსაზღვრავს პაციენტის მოვლისთვის სხვა ექიმთან ან პროფესიონალთან გადაყვანის საჭიროებას; - გადაწყვეტილების მიღება კოლეგებთან ერთად; - პაციენტის პრობლემაზე საპასუხოდ ადემონსტრირებს კლინიკური პრობლემის ეფექტური გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღების უნარს; მათ შორის არსებულ მონაცემთა ინტერპრეტაციითა და ინფორმაციის ინტეგრირებით ატარებს დიფერენციულ დიაგნოსტიკას, შეიმუშავებს მართვის გეგმას; - პრობლემის განსაზღვრა, ანალიზი და მონაცემთა ინტერპრეტაცია, ინფორმაციულ 	
--	--	---	--	---	--

				<p>და პერსონალურ შეზღუდვებთან გამკლავება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;</p> <ul style="list-style-type: none"> - შესაბამისი დროის ფარგლებში ატარებს პაციენტის შეფასებას, აწვდის რეკომენდაციებს, წარმოდგენილს ორგანიზებული სახით; - აცნობიერებს და პასუხობს სამედიცინო პრაქტიკაში ხშირად არსებულ კომპლექსურ, ორაზროვან სიტუაციებს; - მულტიდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობა, საკუთარ და სხვათა კომპეტენციების გაცნობიერება, სხვებთან ერთად ინდივიდუალური პაციენტის (ან პაციენტთა ჯგუფის) შეფასება, მართვის ინტეგრირებული დაგეგმვა და მიწოდება; - ინტერპროფესიულ ჯგუფთა შეხვედრებში მონაწილეობა; - ჯგუფის დინამიკის პრონციპები, ჯგუფის ეთიკური საკითხების, კონფიდენციალობის პატივისცემა; - ჯგუფში შესაბამის სიტუაციაში ლიდერის როლის შესრულება; - სამედიცინო სერვისებისა და შედეგების გასაუმჯობესებლად ცვლილებათა ხელშეწყობა; - პაციენტის მოვლის კონტექსტში პროფესიონალთა ჯგუფთან მუშაობა (როგორც დიპლომამდელი განათლების სტუდენტი) ჯგუფურ-მუშაობაში, ლიდერობისა უნარის განვითარებისთვის; - სხვა ორგანიზაციაში კოლეგებთან ერთად კოლაბორაციული მუშაობა; - პრიორიტეტების განსაზღვრა, დროის მართვის ჩათვლით, პაციენტთა მოვლის, პრაქტიკის მოთხოვნათა, სხვა აქტივობათა და პერსონალურ ცხოვრებას შორის ბალანსი. <p>• ექიმი როგორც ექსპერტი:</p> <ul style="list-style-type: none"> - ცნობისმოყვარეობა და კითხვების დასმის უნარი შესაბამის შემთხვევებსა და პროცესებში რაციონალური გამოყენებისთვის; - პროფესიული პრაქტიკის გასაუმჯობესებ- 	
--	--	--	--	--	--

				<p>ლად პერსონალური სწავლების გეგმის შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და რევიზია;</p> <ul style="list-style-type: none"> - კოლაბორაციული სწავლის ვალდებულება პერსონალური პრაქტიკის უწყვეტი გაუმჯობესებისა და პრაქტიკის ერთობლივ გაუმჯობესებაში კონტრიბუციის მიზნით; - ბიოსამედიცინო და კლინიკური მეცნიერებებში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; - უსაფრთხო სასწავლო გარემოს ხელშეწყობა - მოსწავლეთა, მასწავლებელთა და პროგრამების შეფასება საგანმანათლებლო თვალსაზრისით შესაბამისი გზით; - კვლევის სამეცნიერო პრინციპების, მეცნიერული ძიების და კვლევითი მტკიცებულების როლი ჯანდაცვაში; - კვლევის ეთიკური პრინციპების იდენტიფიცირება და ჩართვა ინფორმირებულ თანხმობაში, რაც ითვალისწინებს პოტენციურ ზიანსა და სარგებელს, მოწყვლადი პოპულაციის განხილვით; - კვლევით პროგრამაზე მუშაობაში მონაწილეობა; - კვლევისთვის ღირებული კითხვების დასმა და მათზე საპასუხოდ შესაბამისი მეთოდების შერჩევა; • ექიმი გლობალურ კონტექსტში: <ul style="list-style-type: none"> - ადამიანის ორგანიზმსა და ჯანდაცვის სისტემასთან კავშირში განსხვავებული კულტურის, მოსაზრების, წარმოდგენების და პრაქტიკების პატივისცემა; - უცხო ენის ცოდნა პროფესიულ კონტექსტში კომუნიკაციისთვის; - სხვა ქვეყნების კულტურისა და ჩვევების გაცნობიერება; - ზოგადი (არასამედიცინო) ცოდნა. 	
--	--	--	--	--	--

3. მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის რესურსებისადმი

3.1. მოთხოვნები ადამიანური რესურსისადმი

ასპექტი	სპეციალური მოთხოვნები
სამედიცინო განათლების მეთოდოლოგია	აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები რეგულარულად (2 წელიწადში ერთხელ) უნდა გადიოდნენ ტრენინგს სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი სერტიფიკატით.
კლინიკური დისციპლინები	<ul style="list-style-type: none"> • შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სერთიფიკატი; • გამოცდილება: ა) პროფესორს- სულ მცირე, 6 წელი პედაგოგიური და ბოლო 9 წელი კლინიკური გამოცდილება; ბ) ასოცირებულ პროფესორს- სულ მცირე, 3 წელი პედაგოგიური და ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება; გ) ასისტენტ-პროფესორს- სულ მცირე, ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება; ასისტენტს - დოქტორანტი კლინიკურ სპეციალობაში; • მოწვეულ სპეციალისტს, სულ მცირე, 5 წლის კლინიკური გამოცდილება.

3.2. მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი

ასპექტი	სპეციალური მოთხოვნები
კლინიკური დისციპლინები	საუნივერსიტეტო/სასწავლო კლინიკა და/ან აფილირებული კლინიკა (ხელშეკრულების საფუძველზე). კლინიკური უნარების ცენტრი/ლაბორატორია (საკუთარი ან ხელშეკრულების საფუძველზე).
ფუნდამენტური დისციპლინები	სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია/კვლევითი ინსტიტუტი.
საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიები	ბიბლიოთეკა, ელექტრონული სასწავლო რესურსები.

4. დამატებითი ინფორმაცია

1) სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმობესება მიიღწევა კურიკულუმის ინტეგრაციით. ინტეგრირებული კურიკულუმი გულისხმობს ფუნდამენტური და კლინიკური საგნების ინტეგრაციას (ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია). ჰორიზონტალური ინტეგრაციის დროს იქმნება ერთი კურსის სხვადასხვა საგნის ერთიანი მოდულები. აუცილებელი მოთხოვნაა კლინიკური საგნების ჩართვა სწავლის პირველსავე წელს; ინტეგრირებული კურიკულუმი საშუალებას იძლევა, თავიდან ავიცილოთ ცოდნის ფრაგმენტაცია და ადრეული ეტაპებიდან გამოვუმუშავოთ სტუდენტებს დამოუკიდებელი კლინიკური აზროვნების უნარი. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი შეიძლება იყოს სრულად ან ნაწილობრივ ინტეგრირებული. სრულად ინტეგრირებული კურიკულუმი მოიცავს მხოლოდ ტრანსდისციპლინურ მოდულებს, მაშინ, როცა ნაწილობრივ ინტეგრაციისას კურიკულუმი შედგება როგორც ცალკეული დისციპლინებისგან, ასევე ინტეგრირებული მოდულებისგან. ინტეგრირებულ კურიკულუმში საბაზისო და კლინიკური საგნების რეკომენდებული თანაფარდობა 40/60% შეადგენს.

2) კლინიკური საგნების სწავლება ხორციელდება საუნივერსიტეტო/სასწავლო სამედიცინო დაწესებულებებში - პირველადი, მეორეული და მესამეული დონის სერვისების მქონე კლინიკებში. მრავალპროფილური საუნივერსიტეტო და სასწავლო კლინიკები უნდა უზრუნველყოფილი იყოს სათანადო სასწავლო ფართით, სალექციო დარბაზებით, სტუდენტებისთვის კლინიკებიდან ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასწავლო რესურსებზე (ელექტრონული, წიგნადი) წვდომა.

3) კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალი ან/და დასახელებები განსხვავდება ინსტიტუციური კონტექსტის მიხედვით. ამავდროულად, არსებობს საერთო კომპეტენციები, რომლებიც ქმნიან საფუძველს დიპლომირებული მედიკოსის ჩამოსაყალიბებლად. აუცილებელია, კურიკულუმში, ექვსწლიანი სწავლის განმავლობაში, გათვალისწინებული იყოს, სულ მცირე, კლინიკური უნარების ასათვისებლად, სულ მცირე, 10 კრედიტი უნდა იყოს განკუთვნილი კლინიკური უნარების ცენტრში/ლაბორატორიაში სწავლებისთვის, ხოლო არანაკლებ 10 კრედიტისა - სამეცნიერო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად.

4) კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით გამოყენებული უნდა იქნეს სხვადასხვა სირთულის სიმულატორები და კომპიუტერიზებული სასწავლო პროგრამები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ რეალურ დაავადებას, დიაგნოსტიკურ ან სამკურნალო პროცედურას. ვირტუალური სასწავლო მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს პაციენტთა უსაფრთხოების დაცვას, მნიშვნელოვნად განტვირთავს სამკურნალო დაწესებულებებს სტუდენტთა დიდი ჯგუფებისგან, რომლებიც პაციენტთან უშუალო კონტაქტის მეშვეობით ხშირად ვერც კი ახერხებენ ამა თუ იმ კლინიკური ჩვევის გამომუშავებას, განსაკუთრებით სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ მათ მიერ სწავლის პროცესში გამომუშავებული კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება დამოუკიდებლად, სიმულატორებზე ან ზედამხედველობის ქვეშ.

5) საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულებისას სწავლის შედეგების შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებასაც. რეკომენდაციები სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების შესახებ დეტალურად არის მოცემული WFME-ისა და MEDINE-ის ერთობლივ დოკუმენტში - „სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესების გლობალური სტანდარტები ევროპული სპეციფიკის გათვალისწინებით“.

6) ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის სიკვდილობის უზშირეს მიზეზს (69%-ს) არაგადამდები, კერძოდ კი გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, წარმოადგენს სწავლების ყურადღება უნდა გამახვილდეს აღნიშნულ დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციის საკითხებზე.

7) კურიკულუმში გათვალისწინებული უნდა იყოს გერონტოლოგიისა და გერიატრიის სწავლება, რაც განპირობებულია მოსახლეობის სტრუქტურაში ხანდაზმულთა წილის მნიშვნელოვანი ზრდით.

8) დიპლომამდელი სამედიცინო განათლების პროგრამა 6-წლიანია. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციების ჩამოყალიბება-განვითარებაზე მიმართულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, რომლებიც არ მიეკუთვნება სპეციალობის კომპონენტს.

9) სპეციალობის არჩევით ნაწილში მოიაზრება სპეციალობის - მედიცინის, სფეროსთან დაკავშირებული სასწავლო კურსები/მოდულები/სხვ., რომლებიც ხელს შეუწყობენ პროფესიული მოვალეობების შესრულებას ან/და გააფართოვებენ კომპეტენციებს მედიცინის სფეროში. კურიკულუმში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა თანდათან უნდა მატულობდეს და მაქსიმუმს აღწევდეს სწავლების ბოლო სემესტრებში.

10) ინტეგრირებული კურიკულუმის შესაბამისი სწავლების მეთოდებში, პირველ რიგში, მოიაზრება პრობლემასა და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლა (PBL და CBL, შესაბამისად). PBL-ის უპირატესობა სწავლების ტრადიციულ მეთოდთან შედარებით სტუდენტების მიერ პრობლემების გადაჭრის დამოუკიდებლად სწავლა და კოლაბორაციული სწავლის უნარის შექმნაა, რაც მეტად მნიშვნელოვანია ექიმის პროფესიული საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად. ინტეგრირებული სწავლების აუცილებელი მოთხოვნაა სტუდენტის ადრეული ჩართვა სამეცნიერო კვლევაში. კვლევის კომპონენტი გათვალისწინებულია ინტეგრირებულ კურიკულუმში. სტუდენტების როლი კვლევაში თანდათან მატულობს. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები სწავლობენ არ ამხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას, არამედ კვლევის ორგანიზაციის, წარმართვის, ანალიზის, შედეგების წარმოდგენის ძირითად პრინციპებს.

11) ინტეგრირებული განათლება სწავლების პირველივე წლიდან გულისხმობს სტუდენტების მიერ კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას. უნარ-ჩვევების სირთულე კურსიდან კურსზე გადასვლისას მატულობს. კურიკულუმით წინასწარ განისაზღვრება იმ უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, რომელიც უნდა აითვისოს სტუდენტმა სწავლის პროცესში. კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია სათანადო კლინიკურ უნარ-ჩვევები სცენტრების და მრავალპროფილური კლინიკური ბაზების არსებობა. ინტეგრირებული სწავლების დანერგვა გულისხმობს სტუდენტთა შეფასების ახალი მეთოდების შემოღებას (OSCE, პორტფოლიო).

- OSCE – ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა - სადღეისოდ ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალ უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში სტუდენტებისა და რეზიდენტების კლინიკური კომპეტენციის (კლინიკური უნარ-ჩვევების) შესაფასებლად. OSCE-ის გამოცდის დროს სტუდენტები ახდენენ კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრაციას სიმულატორების გამოყენებით ან პაციენტის როლის შემსრულებელ პირებზე (სტანდარტიზებულ პაციენტებზე). OSCE აღიარებულია სამედიცინო განათლების ერთ-ერთ ძირითად სტანდარტად სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისა და აჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ;
- პორტფოლიო - სტუდენტთა აქტივობის შეფასების ერთ-ერთი თანამედროვე მეთოდია და გულისხმობს: ა) სტუდენტის მიერ შესრულებული დამოუკიდებელი სამუშაოს ხარისხს; ბ) სტუდენტთა ინტელექტისა და დამოუკიდებელი აქტივობის შეფასებას; გ) დოკუმენტებს, რომლებიც ასახავს სტუდენტის აქტივობას სწავლების პირველი წლიდან მეექვსე წლამდე. პორტფოლიო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტუდენტის აკადემიური მოსწრების მიმდინარე და საბოლოო შეფასებაზე, რადგანაც ის ობიექტურად და ადასაბუთებულად ასახავს სტუდენტის კლინიკური აზროვნების, უნარების, ზოგადი პროფესიული თვისებების განვითარების ძლიერ და სუსტ მხარეებს, ავლენს მის ნაკლოვანებებს და მათი გამოსწორების გზებს.

12) საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ზოგადი კომპეტენციები:

- ანალიზისა და სინთეზის უნარი - შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკულად შეფასება, მათი დამოუკიდებელი ანალიზი, ანალიზის შედეგების გასაგებად გადმოცემა და შემდგომ მათი გამოყენება. შეუძლია ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკულად მიდგომა, სხვადასხვა მონაცემის გაანალიზება, შეჯამება, ინტეგრაცია, დასკვნის გამოტანა, მიღებული შედეგების ანალიზისას მტკიცებულებების და/ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა.
- ინფორმაციის მართვა - შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება. პროფესიული საქმიანობისას აქვს მოძიებული ინფორმაციის გამოყენების უნარი.
- პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება - დამოუკიდებლად შეუძლია კომპლექსური პრობლემების განსაზღვრა, ჩამოყალიბება, მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. იცნობს და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად იყენებს დამატებით რესურსებს საკუთარი სპეციალობის ფარგლებში.

- *ჯგუფში მუშაობის უნარი* - აქვს ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრს, ასევე ლიდერს. შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა.
- *კომუნიკაციის უნარი, მათ შორის უცხო ენაზე* - აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი. შეუძლია შეხვედრებში მონაწილეობა და თავისი მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად და წერილობით გადმოცემა. შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა.
- *სწავლის/ცოდნის მუდმივი განახლების უნარი* - შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობას; აქვს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი.
- *ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარი* - კოლექტივში პრაქტიკული მუშაობის ჩვევები, პროფესიული სუბორდინაციის/ადაპტაციის უნარი, ახალი ტექნოლოგიების ათვისების უნარი.
- *დამოუკიდებლად მუშაობის უნარი* - აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი. შეუძლია თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რესურსების სწორად დაგეგმვა. პასუხს აგებს შესრულებულ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება და კრიტიკა.

დარგობრივი უნარების მიღწევა სწავლების წლების მიხედვით (რეკომენდაციები)
ნიმუში/მაგალითი

1. პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა

სწავლების წელი	სასწავლო კურსები/ინტეგრირებული მოდულები	სწავლების შედეგები	სწავლების ფორმები	სწავლების შედეგების შეფასება
1	სამედიცინო ეთიკა, ქვევითმეცნიერება, შესავალი კლინიკურ მედიცინაში, კლინიკური უნარები.	<ul style="list-style-type: none"> • ანამნეზის შეკრება; • პაციენტის მხარდაჭერა და მისი უფლებების დაცვა. 	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, როლური თამაში, სასწავლო ვიდეოფილმები, PBL, პაციენტებთან კომუნიკაცია	ზეპირი (რეფერატი)პრეზენტაცია
2	შესავალი კლინიკურ მედიცინაში, სამედიცინო ფსიქოლოგია, კლინიკური უნარები.	<ul style="list-style-type: none"> • ანამნეზის შეკრება; • განმარტებებისა და რჩევების მიცემა; • პაციენტის მხარდაჭერა და მისი უფლებების დაცვა. 	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, როლური თამაში, სასწავლო ვიდეოფილმები, PBL, პაციენტებთან კომუნიკაცია	ზეპირი/ტესტური გამოცდა, OSCE
3	პროპედევტიკა/ფიზიკური დიაგნოზი, ქირურგია, კლინიკური უნარები.	<ul style="list-style-type: none"> • ანამნეზის შეკრება; • ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება; • კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება; • განმარტებებისა და რჩევების მიცემა; • პაციენტის მხარდაჭერა და მისი უფლებების დაცვა. 	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, პაციენტებთან მუშაობა, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება/კლინიკური აზროვნება(CBL, CBCR)	ტესტური გამოცდა, OSCE
4	შინაგანი მედიცინა ქირურგია, უროლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, პედიატრია, დერმატოლოგია, ნეფროლოგია, მეანობა-გინეკოლოგია, კლინიკური უნარები.	<ul style="list-style-type: none"> • ანამნეზის შეკრება; • ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება; • კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება; • განმარტებებისა და რჩევების მიცემა; • პაციენტის მხარდაჭერა და მისი უფლებების დაცვა. 	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება/კლინიკური აზროვნება(CBL, CBCR), კლინიკური როტაციები.	ტესტური გამოცდა, OSCE, პორთფოლიო
5	შინაგანი მედიცინა, ქირურგია, ტრავმატოლოგია, ონკოლოგია, ნეიროქირურგია, ინფექციური სნეულებები, ოფთალმოლოგია, მედიცინის სამართალი, გადაუდებელი მედიცინა, ფსიქიატრია.	<ul style="list-style-type: none"> • ანამნეზის შეკრება; • ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება; • კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება • განმარტებებისა და რჩევების მიცემა; • პაციენტის მხარდაჭერა და მისი უფლებების დაცვა; • პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება. 	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, კლინიკური როტაციები, პაციენტის საწოლთან სწავლება (bedside teaching).	ტესტური გამოცდა, OSCE, miniCEX, პორთფოლიო
6	შინაგანი მედიცინა, საოჯახო მედიცინა, რეაბილიტაცია და სპორტული მედიცინა, ქირურგია, პედიატრია, გერიატრია, მეანობა-გინეკოლოგია, ონკოლოგია.	<ul style="list-style-type: none"> • ანამნეზის შეკრება; • ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება; • კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება; • განმარტებებისა და რჩევების მიცემა; • პაციენტის მხარდაჭერა და მისი უფლებების დაცვა; • პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება. 	კლინიკური როტაციები, პაციენტის საწოლთან სწავლება (bedside teaching).	ტესტური გამოცდა, OSCE, miniCEX, პორთფოლიო

2. კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა

სწავლების წელი	სასწავლო კურსები/ინტეგრირებული მოდულები	სწავლების შედეგები	სწავლების ფორმები	სწავლების შედეგების შეფასება
1	შესავალი კლინიკურ მედიცინაში, კლინიკური უნარები, სამედიცინო ეთიკა, ქვეთმეცნიერება, ანატომია, ფიზიოლოგია, ჰისტოლოგია, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია, ბიოფიზიკა, გენეტიკა.	<ul style="list-style-type: none"> • პაციენტებთან კონტაქტი და კომუნიკაცია; • დაავადების სიმპტომებსა და ბაზისურ ცოდნას (ანატომიაში, ფიზიოლოგიაში, ბიოქიმიაში და სხვ.) შორის ურთიერთკავშირის დადგენა; • პაციენტის უფლებების ცოდნის გამოყენება კლინიკური შემთხვევების განხილვისას. 	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, პრობლემაზე დაფუძნებული (PBL) სწავლება, სასწავლო ვიდეო-ფილმები, პაციენტებთან კომუნიკაცია, როლური თამაში.	ზეპირი/ტესტური გამოცდა, OSCE (კომუნიკაცია სტანდარტიზებულ პაციენტთან)
2	შესავალი კლინიკურ მედიცინაში, კლინიკური უნარები, სამედიცინო ფსიქოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, იმუნოლოგია, მიკრობიოლოგია, ჰისტოლოგია, ზოგადი ფარმაკოლოგია.	<ul style="list-style-type: none"> • პაციენტებთან კონტაქტი და კომუნიკაცია; • დაავადების სიმპტომებსა და ბაზისურ ცოდნას (ანატომიაში, ფიზიოლოგიაში, ბიოქიმიაში და სხვ.) შორის ურთიერთკავშირის დადგენა; • პაციენტის უფლებების ცოდნის გამოყენება კლინიკური შემთხვევების განხილვისას. 	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, პრობლემაზე დაფუძნებული (PBL) სწავლება, სასწავლო ვიდეო-ფილმები, პაციენტებთან კომუნიკაცია, როლური თამაში.	ზეპირი/ტესტური გამოცდა, OSCE (კომუნიკაცია სტანდარტიზებულ პაციენტთან)
3	პრობდექტივა/ფიზიკური დიაგნოზი, ქირურგია, კლინიკური უნარები, პათოლოგია, ფარმაკოლოგია, ლაბორატორიული მედიცინა, რადიოლოგია.	<ul style="list-style-type: none"> • დაავადების კლინიკური სურათის სირთულის გაცნობიერება; • დიფერენციული დიაგნოზის გატარება; • ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის ოჯახზე ზრუნვა. 	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლება, კლინიკური აზროვნება (CBCR), სწავლება სიმულატორების გამოყენებით, პაციენტებთან კომუნიკაცია.	ტესტური გამოცდა, OSCE - სიმულატორების და/ან სტანდარტიზებულ პაციენტების მეშვეობით
4	შინაგანი მედიცინა ქირურგია, უროლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, პედიატრია, დერმატოლოგია, ნევროლოგია, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, მეანობა-გინეკოლოგია, კლინიკური უნარები.	<ul style="list-style-type: none"> • დაავადების კლინიკური სურათის სირთულის გაცნობიერება და შეფასება; • დიფერენციული დიაგნოზის გატარება; • პაციენტებსა და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვა; • ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის ოჯახზე ზრუნვა. 	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სწავლება სიმულატორების გამოყენებით, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching) კლინიკური როტაციები.	ტესტური გამოცდა, OSCE - სიმულატორების და/ან სტანდარტიზებულ პაციენტების მეშვეობით
5	შინაგანი მედიცინა, ქირურგია, ტრავმატოლოგია, ონკოლოგია, ნეირქირურგია, ინფექციური სნეულებები, ოფთალმოლოგია, სასამართლო მედიცინა და მედიცინის სამართალი, გადაუდებელი მედიცინა, ფსიქიატრია, კლინიკური უნარები.	<ul style="list-style-type: none"> • დაავადების კლინიკური სურათის სირთულის გაცნობიერება და შეფასება; • შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია; • დიფერენციული დიაგნოზის გატარება; • პაციენტებსა და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვა; • ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის ოჯახზე ზრუნვა. 	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სწავლება სიმულატორების გამოყენებით, საწოლთან სწავლება (bedside-teaching) კლინიკური როტაციები.	ტესტური გამოცდა, OSCE - სიმულატორების და/ან სტანდარტიზებულ პაციენტების მეშვეობით, MiniCEX - მინი-კლინიკური გამოცდა
6	შინაგანი მედიცინა, საოჯახო მედიცინა, რეაბილიტაცია და სპორტული	<ul style="list-style-type: none"> • დაავადების კლინიკური სურათის სირთულის გაცნობიერება და შეფასება; 	ლექცია, სწავლება სიმულატორების გამოყენებით, ავადმყოფის სა-	ტესტური გამოცდა, OSCE - სიმულატორ-

	მედიცინა, ქირურგია, პედიატრია, გერიატრია, მეანობა-გინეკოლოგია, ონკოლოგია.	<ul style="list-style-type: none"> • შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია; • დიფერენციული დიაგნოზის გატარება; • პაციენტებსა და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვა; • ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის ოჯახზე ზრუნვა; • ქრონიკული დაავადებების მართვა. 	წოლთან სწავლება (bedside-teaching) კლინიკური როტაციები.	ბის და/ან სტანდარტიზებულ პაციენტების მშვეობით, MiniCEX
--	---	---	---	--

3. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები)

სწავლების წელი	სასწავლო კურსები/ინტეგრირებული მოდულები	სწავლების შედეგები	სწავლების ფორმები	სწავლების შედეგების შეფასება
1	შესავალი კლინიკურ მედიცინაში. კლინიკური უნარები	<ul style="list-style-type: none"> • ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა. 	პრაქტიკული მეცადინეობა, ტუტორიალები, სასწავლო ვიდეო-ფილმები, როლური თამაში, სწავლება სიმულატორების გამოყენებით.	OSCE
2	შესავალი კლინიკურ მედიცინაში. კლინიკური უნარები	<ul style="list-style-type: none"> • ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა. 	პრაქტიკული მეცადინეობა, ტუტორიალები, სასწავლო ვიდეო-ფილმები, როლური თამაში, სწავლება სიმულატორების გამოყენებით.	OSCE
3	პროპედევტიკა/ფიზიკური დიაგნოზი. კლინიკური უნარები	<ul style="list-style-type: none"> • გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება; • ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა. 	პრაქტიკული მეცადინეობა, ტუტორიალები, სასწავლო ვიდეო-ფილმები, როლური თამაში, სწავლება სიმულატორების გამოყენებით.	OSCE
4	შინაგანი მედიცინა, ქირურგია, კლინიკური უნარები	<ul style="list-style-type: none"> • გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება; • ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა; • გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება. 	პრაქტიკული მეცადინეობა, სწავლება სიმულატორების გამოყენებით, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching), კლინიკური როტაციები.	OSCE, პორთფოლიო
5	კლინიკური უნარები, შინაგანი მედიცინა, ქირურგია, ტრავმატოლოგია, ნეიროქირურგია	<ul style="list-style-type: none"> • გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება; • ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა; • გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება; • ტრავმების დროს გადაუდებელი დახმარება გაიდლაინების 	პრაქტიკული მეცადინეობა, სწავლება სიმულატორების გამოყენებით, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching), კლინიკური როტაციები.	OSCE, პორთფოლიო, ტესტური გამოცდა

		ნების შესაბამისად.		
6	კლინიკური უნარები, შინაგანი მედიცინა, საოჯახო მედიცინა, ქირურგია.	<ul style="list-style-type: none"> • გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება • გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მკურნალობა; • ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა; • გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება; • გაიდლაინების შესაბამისი გაფართოებული სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარება; • ტრავმების მკურნალობა გაიდლაინების შესაბამისად. 	ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching) კლინიკური როტაციები.	OSCE, პორტფოლიო

4. მედიკამენტების გამოწერის ცოდნა

სწავლების წელი	სასწავლო კურსები/ინტეგრირებული მოდულები	სწავლების შედეგები	სწავლების ფორმები	სწავლების შედეგების შეფასება
1	არ ისწავლება			
2	ზოგადი ფარმაკოლოგია, შესავალი კლინიკურ მედიცინაში	<ul style="list-style-type: none"> • წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების შესაბამის კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება. 	ლექციები, სემინარები, პრობლემაზე დაფუძნებული (PBL).	ზეპირი ან ტესტური გამოცდა
3	პროპედევტიკა/დიაგნოსტიკა, ქირურგია, კერძო ფარმაკოლოგია, ლაბორატორიული მედიცინა	<ul style="list-style-type: none"> • მედიკამენტების გასაგებად და აკურატულად გამოწერა; • წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების შესაბამის კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება. 	ლექციები, პრაქტიკულები, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლება, კლინიკური აზროვნება (CBCR).	ზეპირი ან ტესტური გამოცდა, OSCE
4	შინაგანი მედიცინა, ქირურგია, უროლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, პედიატრია, დერმატოლოგია, ნევროლოგია, მეანობა-გინეკოლოგია	<ul style="list-style-type: none"> • მედიკამენტების გასაგებად, აკურატულად გამოწერა; • წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების შესაბამის კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება; • მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობის განხილვა და პაციენტისთვის პოტენციური სარგებელისა და რისკის შეფასება. 	ლექციები, პრაქტიკულები, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლება, კლინიკური აზროვნება (CBCR), კლინიკური როტაციები.	ზეპირი ან ტესტური გამოცდა, OSCE
5	შინაგანი მედიცინა, ქირურგია, ტრავმატოლოგია, ონკოლოგია, ნეიროქირურგია, ინფექციური სნეულებები, ოფთალმოლოგია, გადაუდებელი მედიცინა, ფსიქიატრია	<ul style="list-style-type: none"> • მედიკამენტების გასაგებად, აკურატულად გამოწერა; • წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების შესაბამის კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება; • მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობის განხილვა და პაციენტისთვის პოტენციური სარგებელისა და რისკის შეფასება; • ტკივილისა და დისტრესის მკურნალობა. 	ლექციები, პრაქტიკულები, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching), კლინიკური როტაციები.	ტესტური გამოცდა, OSCE, MiniCEX
6	კლინიკური ფარმაკოლოგია, შინაგანი მედიცინა, საოჯახო მედიცინა, რეაბილიტაცია და სპორტული მედიცინა, ქირურგია, პედიატრია, გე-	<ul style="list-style-type: none"> • მედიკამენტების გასაგებად, აკურატულად გამოწერა; • წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების შესაბამის კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება; • მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამის- 	ლექციები, პრაქტიკულები, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching), კლინიკური როტაციები.	ტესტური გამოცდა, OSCE, MiniCEX

	რიატრია, მეანობა-გინეკოლოგია, ონკოლოგია.	<p>სობის განხილვა და პაციენტისთვის პოტენციური სარგებელისა და რისკის შეფასება;</p> <ul style="list-style-type: none"> • ტკივილისა და დისტრესის მკურნალობა; • მედიკამენტების თავსებადობის გათვალისწინება მკურნალობის დანიშვნისას. 		
--	--	---	--	--

5. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება

სწავლების წელი	სასწავლო კურსები/ინტეგრირებული მოდულები	სწავლების შედეგები	სწავლების ფორმები	სწავლების შედეგების შეფასება
1	კლინიკური უნარები, შესავალი კლინიკურ მედიცინაში, სამედიცინო ეთიკა.	<ul style="list-style-type: none"> • სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა (პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა–დამოუკიდებლად); • წნევის გაზომვა (დამოუკიდებლად); • ჟანგბადის მიწოდება (დამოუკიდებლად). 	პრაქტიკულები, სასწავლო ვიდეო-ფილმები, როლური თამაში, სწავლება სიმულატორების გამოყენებით.	OSCE
2	კლინიკური უნარები, შესავალი კლინიკურ მედიცინაში. სამედიცინო ეთიკა.	<ul style="list-style-type: none"> • წნევის გაზომვა (დამოუკიდებლად); • სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა (პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა–დამოუკიდებლად); • სატურაციის განსაზღვრა; • ხელების დაბანა და ხელთათმანის ჩაცმა; • ვენეპუნქცია (სიმულატორზე); • ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში (სიმულატორზე ან ზედამხედველობით); • ჟანგბადის მიწოდება (დამოუკიდებლად); • პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა (დამოუკიდებლად). 	პრაქტიკულები, სასწავლო ვიდეო-ფილმები, როლური თამაში, სწავლება სიმულატორების გამოყენებით.	OSCE
3	პროპედევტიკა/დიაგნოსტიკა, კლინიკური უნარები, ზოგადი ფარმაკოლოგია, ლაბორატორიული მედიცინა.	<ul style="list-style-type: none"> • სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა (პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა–დამოუკიდებლად); • წნევის გაზომვა (დამოუკიდებლად); • სატურაციის განსაზღვრა; • ხელების დაბანა და ხელთათმანის ჩაცმა; • ვენეპუნქცია (სიმულატორზე); • ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში (სიმულატორზე ან ზედამხედველობით); • ჟანგბადის მიწოდება (დამოუკიდებლად); • საინჰალაციო საშუალებების გამოყენება; • პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა (დამოუკიდებლად); • ნაკერის დადება (სიმულატორზე); • შარდის ანალიზის გაკეთება (დამოუკიდებლად); • ელექტროკარდიოგრამის გადაღება (დამოუკიდებლად) 	პრაქტიკულები, სასწავლო ვიდეო-ფილმები, როლური თამაში, სწავლება სიმულატორების გამოყენებით.	OSCE

4	<p>შინაგანი მედიცინა, ქირურგია, კლინიკური უნარები, უროლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, პედიატრია, დერმატოლოგია, ნევროლოგია, მეანობა-გინეკოლოგია.</p>	<ul style="list-style-type: none"> • სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა (პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა–დამოუკიდებლად); • წნევის გაზომვა (დამოუკიდებლად); • სატურაციის განსაზღვრა; • ხელების დაბანა და ხელთათმანის ჩაცმა; • ვენეპუნქცია (სიმულატორზე); • ვენაში კათეტერის ჩადგმა (სიმულატორზე); • ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში (სიმულატორზე ან ზედამხედველობით); • ჟანგბადის მიწოდება (დამოუკიდებლად); • საინჰალაციო საშუალებების გამოყენება; • პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა (დამოუკიდებლად); • ნაკერის დადება (სიმულატორზე); • ჭრილობის დამუშავება და ნახვევის დადება; • შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (სიმულატორზე); • შარდის ანალიზის გაკეთება (დამოუკიდებლად); • ელ.კარდიოგრამის გადაღება (დამოუკიდებლად); • სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება (დამოუკიდებლად). 	<p>პრაქტიკულები, სწავლება სიმულატორების გამოყენებით, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching).</p>	<p>OSCE, პორტფოლიო</p>
5	<p>შინაგანი მედიცინა, ქირურგია, ტრავმატოლოგია, ონკოლოგია, ნეიროქირურგია, ინფექციური სნეულებები, ოფთალმოლოგია, სასამართლო მედიცინა და მედიცინის სამართალი, გადაუდებელი მედიცინა, ფსიქიატრია.</p>	<ul style="list-style-type: none"> • სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა (პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა–დამოუკიდებლად); • წნევის გაზომვა (დამოუკიდებლად); • სატურაციის განსაზღვრა; • ხელების დაბანა და ხელთათმანის ჩაცმა; • ვენეპუნქცია (სიმულატორზე); • ვენაში კათეტერის ჩადგმა (სიმულატორზე); • სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება (სიმულატორზე ან ზედამხედველობით); • ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში (სიმულატორზე ან ზედამხედველობით); • ჟანგბადის მიწოდება (დამოუკიდებლად); • საინჰალაციო საშუალებების გამოყენება; • პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა (დამოუკიდებლად); • ნაკერის დადება (სიმულატორზე); • ჭრილობის დამუშავება და ნახვევის დადება; • შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (სიმულატორზე); • შარდის ანალიზის გაკეთება მულტი დისკ სტიკებით (დამოუკიდებლად); • ელ.კარდიოგრამის გადაღება (დამოუკიდებლად); 	<p>ლექციები, პრაქტიკულები, პაციენტებთან (ამბულატორიულ და სტაციონარულ პაციენტებთან), სწავლება, სწავლება სიმულატორების გამოყენებით, კლინიკური როტაციები.</p>	<p>OSCE, MiniCEX, პორტფოლიო</p>

		<ul style="list-style-type: none"> • ელ.კარდიოგრამის ინტერპრეტაცია (დამოუკიდებლად) • სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება (დამოუკიდებლად). 		
6	შინაგანი მედიცინა, საოჯახო მედიცინა, კლინიკური უნარები, რეაბილიტაცია და სპორტული მედიცინა, ქირურგია, პედიატრია, გერიატრია, მენოპა-გინეკოლოგია, კლინიკური ფარმაცოლოგია, ონკოლოგია.	<ul style="list-style-type: none"> • სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა (პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა–დამოუკიდებლად); • წნევის გაზომვა (დამოუკიდებლად); • სატურაციის განსაზღვრა; • ხელების დაბანა და ხელთათმანის ჩაცმა; • ვენეპუნქცია (სიმულატორზე); • ვენაში კათეტერის ჩადგმა (სიმულატორზე); • სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება(სიმულატორზე ან ზედამხედველობით); • ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში (სიმულატორზე ან ზედამხედველობით); • ჟანგბადის მიწოდება (დამოუკიდებლად); • საინჰალაციო საშუალებების გამოყენება; • პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა (დამოუკიდებლად); • ნაკერის დადება (სიმულატორზე); • ჭრილობის დამუშავება და ნახვევის დადება; • სისხლის ტრანსფუზია (სიმულატორზე); • შარდის ბუმტის კათეტერიზაცია (სიმულატორზე); • შარდის ანალიზის გაკეთება მულტი დისკ სტიკებით (დამოუკიდებლად); • ელ.კარდიოგრამის გადაღება (დამოუკიდებლად); • ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია (დამოუკიდებლად); • სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება (დამოუკიდებლად). 	სწავლება სიმულატორების გამოყენებით, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching), კლინიკური როტაციები	OSCE, MiniCEX,პორტფოლიო.

6. სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია

სწავლების წელი	სასწავლო კურსები/ინტეგრირებული მოდულები	სწავლების შედეგები	სწავლების ფორმები	სწავლების შედეგების შეფასება
1	სამედიცინო ეთიკა, ქცევამეცნიერება, შესავალი კლინიკურ მედიცინაში, კლინიკური უნარები.	<ul style="list-style-type: none"> • პაციენტთან კომუნიკაცია. 	ლექციები, პრაქტიკულები, სასწავლო ვიდეოფილმები, როლური თამაში.	ზეპირი ან ტესტური გამოცდა, OSCE(კომუნიკაციის უნარი სტანდარტიზებულ პაციენტთან)
2	შესავალი კლინიკურ მედიცინაში,	<ul style="list-style-type: none"> • პაციენტთან კომუნიკაცია; 	ლექციები, პრაქტიკულები, სას-	ზეპირი ან ტესტური გა-

	სამედიცინო ეთიკა, კლინიკური უნარები, სამედიცინო ფსიქოლოგია.	<ul style="list-style-type: none"> პაციენტის ნათესავებთან კომუნიკაცია; კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით. 	წავლო ვიდეოფილმები, როლური თამაში.	მოცდა, OSCE (კომუნიკაციის უნარი სტანდარტიზებულ პაციენტთან)
3	პროპედევტიკა/დიაგნოსტიკა, ქირურგია, პათოლოგია, კერძო ფარმაცოლოგია, კლინიკური უნარები.	<ul style="list-style-type: none"> პაციენტთან კომუნიკაცია; პაციენტის ნათესავებთან კომუნიკაცია; კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით; ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პაციენტთან განურჩევლად მისისოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა. 	ლექციები, პრაქტიკულები, სასწავლო ვიდეოფილმები, როლური თამაში.	ტესტური გამოცდა, OSCE (კომუნიკაციის უნარი სტანდარტიზებულ პაციენტთან).
4	შინაგანი მედიცინა ქირურგია, უროლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, პედიატრია, დერმატოლოგია, ნევროლოგია, მეანობა-გინეკოლოგია, კლინიკური უნარები.	<ul style="list-style-type: none"> პაციენტთან კომუნიკაცია; კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას; პაციენტის ნათესავებთან კომუნიკაცია; კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაცია; კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით; ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პაციენტთან განურჩევლად მისისოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა. 	ლექციები, პრაქტიკულები, სწავლება სიმულატორების გამოყენებით, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching).	ტესტური გამოცდა, OSCE (კომუნიკაციის უნარი სტანდარტიზებულ პაციენტთან), პორთფოლიო
5	შინაგანი მედიცინა, ქირურგია, კლინიკური უნარები, ტრავმატოლოგია, ონკოლოგია, ნეირქირურგია, ინფექციური სნეულებები, ოფთალმოლოგია, მედიცინის სამართალი, გადაუდებელი მედიცინა, ფსიქიატრია.	<ul style="list-style-type: none"> პაციენტთან კომუნიკაცია; კოლეგებთან კომუნიკაცია; კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას; პაციენტის ნათესავებთან კომუნიკაცია; კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად; წერილობითი კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით); კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით; კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებთან და მასმედიასთან; ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პაციენტთან განურჩევლად მისისოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა. 	ლექციები, პრაქტიკულები, პაციენტებთან (ამბულატორიულ და სტაციონარულ პაციენტებთან), სწავლება, სწავლება სიმულატორების გამოყენებით, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching), კლინიკური როტაციები.	OSCE, MiniCEX, პორთფოლიო
6	შინაგანი მედიცინა, საოჯახო მედიცინა, ქირურგია, პედიატრია, გერიატრია, კლინიკური ფარმაცოლოგია, მეანობა-გინეკოლოგია, ონკოლოგია, კლინიკური უნარები.	<ul style="list-style-type: none"> პაციენტთან კომუნიკაცია; კოლეგებთან კომუნიკაცია; კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას; ნათესავებთან კომუნიკაცია; უნარშეზღუდულ პირებთან კომუნიკაცია; კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად; წერილობითი კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით); კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაცია; კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით; კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებთან და მასმედიასთან; 	ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching), კლინიკური როტაციები სწავლება სიმულატორების გამოყენებით.	OSCE, MiniCEX, პორთფოლიო

		<ul style="list-style-type: none"> • ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან განურჩევლად მისისოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა. 		
--	--	---	--	--

7. სამედიცინოპრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება

სწავლების წელი	სასწავლო კურსები/ინტეგრირებული მოდულები	სწავლების შედეგები	სწავლების ფორმები	სწავლების შედეგების შეფასება
1	შესავალი კლინიკურ მედიცინაში, კლინიკური უნარები, სამედიცინო ეთიკა, ქცევითმეცნიერება.	<ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალობის დაცვა; • ინფორმირებული თანხმობის მიღება. 	ლექცია, ტუტორიალები, სემინარები, PBL, როლური თამაში, პაციენტებთან კომუნიკაცია	ზეპირი ან ტესტური გამოცდა
